ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1196992

ნომერი: AR1206558

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 10.04.2014

გაცნობის თარიღი : 14.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარაშვილის ქუჩა N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვერნაძე პ/ნ 01006006543
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ #1160887 12.03.2014 ბრძანებით შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 31 ოქტომბერს გაიცა #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად #01.10.16.004.137, #01.10.16.004.134, #01.10.16.004.133, #01.10.16.004.110, #01.10.16.004.138; საკადასტრო ერთეულებზე;

#AR1196448 18.02.2014წ. განაცხადის საფუძველზე, საკითხი განხილული იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #7 20.02.14წ.) და მიიღო დადებითი შეფასება, „ზონალური“ კომისიის ოქმის საფუძველზე 2014 წლის 26 თებერვალს გაიცა ქ.

(საკადასტრო კოდი #01.10.16.004.188) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე;

ამასთან საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო #1659 31.10.2011წ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში განხორციელდა ცვლილება ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებით (საკადასტრო კოდი: #01.10.16.004.188);

დღევანდელი მდგომარეობით AR1206558 24.03.2014 წ. განცხადებით მოქალაქე გიორგი კვერნაძე ითხოვს განაშენიანების რეგულირების პროექტის კორექტირებას, კერძოდ შეთანხმებულ გრგ–ში მითითებული იყო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ–1), სარეკრეაციო ზონა 1(რზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები კი დათვლილი იყო მთლიანი ტერიტორიისთვის, ვინაიდან სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1–ს (ტზ–1) არ გააჩნია ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირების შედეგად პროექტში შეიცვალა მხოლოდ გრაფიკული ნაწილი და მთლიან ტერიტორიაზე დაფიქსირდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ–1), თავისი გამწვანებული ტერიტორიით და ქუჩებით/ტროტუარებით; ხოლო ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩა უცვლელი. გრგ–ს კორექტირების საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #12 27.03.2014), სადაც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და გამოიცა ქ. თბილისის მერის #749 07.04.2014 განკარგულება;

დამკვეთი: გიორგი კვერნაძე;
ავტორი: კონსტანტინე ამირეჯიბი;
საფუძველი: AR1206558 24.03.2014წ. განცხადება
საკადასტრო გეგმა: #01.10.16.004.188; სარეგისტრაციო #882014061985 10.02.2014;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: სარეგისტრაციო N 882014080808 20/02/2014წ.

- ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურისსამსახურის განაშენიანებისრეგულირებისგეგმის გეგმარებითიდავალება #1659 31.10.2011წ.
- ქ. თბილისის ტერიტორიებისგამოყენებისადა განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #7 20.02.2014წ.; #12 27.03.2014
- ქ. თბილისის მერის განკარგულება #394 26.02.2014წ.; #749 07.04.2014

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის საერთო ფართი ——————————— 8400 კვ.მ
განაშენიანების საერთო ფართი ——————————— 2917.12 კვ.მ (კ1=0.3)
განაშენიანების ინტენსივობის საერთო ფართი ——————————— 33600 კვ.მ (კ2=4.0)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი კვერნაძის #AR1206558 24.03.2014წ. განცხადება;
2. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა #13–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.10.16.004.188), საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.
3. საპროექტო ტერიტორიის განვითარება მოხდეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად;
4. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ტოპოგრაფიული გეგმები მ1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით);
5. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმების დაცვის შესახებ ცნობები შესაბამისი სამსახურიდან;
6. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი იქნეს ზოგადი გეოლოგია;

7. შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;

8. შენობის ნაწილზე, რომელიც იმყოფება 7.5 მ–იან ზონაში, სამეზობლო მიჯნების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მფლობელის თანხმობა;

9. წინამდებარე ბრძანება განხილულ უნდა იქნეს 2011 წლის 31 ოქტომბრის #1659 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან და #1160887 12.03.2014 ბრძანებით შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.